განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზირებული/აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფო ხუნდაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფარგლებში ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რომელიც მათ გამოუმუშავებს ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარებს.

მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და ამ შედეგების მიღწევის სწავლის მეთოდები. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სასწავლო კომპონენტები 75 კრედიტი; მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსებია 12 კრედიტი. საწარმო პრაქტიკა 5 კრედიტი.
კვლევითი კომპონენტი განისაზღვრა 45 კრედიტით. 45 კრედიტიდან 5 კრედიტი ეთმობა პროსპექტუსის მომზადებას, 10 კრედიტი თეორიულ/ექსპრიმენტალურ კოლოქვიუმის მომზადებას, 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დაცვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 17 და 18 ოქტომბერს. ვიზიტამდე, 16 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, სოფო ხუნდაძე, დავით ცირამუა) 17:00 საათზე და 19:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

17 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:00 საათიდან, ხოლო 18 ოქტომბერს დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 2.2 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო და 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს. მესამე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამიბაშია მოთხოვნებთან. მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების რუკა და სამიზნე ნიშნულები.
  - რეკომენდირებულია მოხდეს საერთაშორისო მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის მოდიფიკაცია საერთაშორისო მარკეტინგთან და საერთაშორისო მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნების გაძლიერებით;
  - რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სპეციალობის ბლოკში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდების ბიზნესში"სწავლება.
  - რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გათვალისწინებულ იქნას ამ საფეხურის შესაბამისი ,,მარკეტინგის" დისციპლინის სწავლება.
  - რეკომენდირებულია საერთაშორისო მარკეტინგისა და საერთაშორისო მენეჯმენტის სილაბუსების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით.
  - რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.
  - რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს კარიერული განვითარების ხელშემწყობი სერვისები და უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარების გზით.
  - რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა;
  - დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორქშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;

- დაწესებულებამ სასურველია შეიმუშავოს სტუდენტებთან კომუნიკაციის უფრო ეფექტური არხები, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე;
- დაწესებულებამ სასურველია აკადემიური პერსონალის მიღების კონკურსის პირობებში ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად განსაზღვროს უცხო ენის ცოდნა, რათა თავიდან იქნეს არიდებული აკადემიურ პერსონალში უცხო ენის არმცოდნეთა წილის გაზრდა;
- დაწესებულებამ სასურველია აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილება და დააწესოს გარკვეული შეზღუდვები მათ მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებებში საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით;
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებისათვის ხელმძღვანელად ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის შერჩევა, რათა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტმა გამოიყენოს უნივერსიტეტში უკვე არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსი;
- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენა (განსაკუთრებით ინგლისური ენა).
-

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ისეთი აკადემიური გარემოს შექმნა, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვა-ლიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად. მისიიდან გამომდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი, რომლის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რომელიც მათ გამოუმუშავებს ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარებს. მიზანი რეალურია, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანური რესურსები. ამას გარდა მიისიდან გამომდინარე უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018 წლის 9 მარტს დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. (დადგენილება # 01-05-04/69). სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში ასევე შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია (აკადემიური საბჭოს დადგენილება 01-05-04/97). ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დანერგვა და მისი შემდგომი გაუმჯობესება დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე. უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და ასევე იყენებს მეორეულ მონაცემებს ანალიზისა და ტენდენციის გამოსავლენად, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესება განახლების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა • შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;

- გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები. თავის მხრივ პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით, რომელიც შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს 2.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ვკითხულობთ, რომ დასაქმების სფეროა:

- სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში;

- ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელწმიფო სექტორში და კერძო (ადგილობრივი და უცხოურ) კომპანიებში (ფირმები, კორპორაციები, სადაზღვევო, საშუამავლო და სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოები და სხვა);
- სამეცნიერო და ანალიტიკური სტრუქტურაში;
- სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- სახელწმიფო და კერძო ერთობლივ საწარმოებში;
- მცირე და საშუალო ბიზნესში
- მრეწველობის სხვადასხვა დარგში;
- სატრანსპორტო და საექსპედიტორო სფეროში;
- არასამთავრობო სექტორში
- ტურიზმის სამსახურში, სასტუმრო ინდუსტრიის ობიექტებში, ტურიზმის პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ.

პროგრამა შემუშავდა და გაუმჯობესდა შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე, შესაბამისად პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება ბიზნესის მიმართულებით დასაქმების სფეროში მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები იქნა გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დამსაქმებელთა ჩართულობა სუსტია, რომლის შესახებაც დეტალურად მომდევნო სტანდარტების კომპონენტებში დავაფიქსირებთ.

გასაუბრებიდან ასევე გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტენსიურად იყო ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი დარგის სპეციფიკისადმი დამახასიათებლით სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არ არის შემუშავებული. თუმცა, ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები მზადების პროცესშია და მისი დასრულება მოითხოვს გარკვეულ დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- სტუ-ს ვებ გერდი: http://gtu.ge/
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

• **რეკომენდირებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს დასაქმების სფეროები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა). გამოცდების საკითხების და ტესტები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gtu.ge/study/index.php გამოცდის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. თუმცა მიგვაჩნია, რომ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების ღრმა და სისტემური ცოდნა და ასევე სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, რომელიც განსაზღვრულია 45 კრედიტით, მოითხოვს უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის ცოდნას. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://gtu.ge/ ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენა (განსაკუთრებით ინგლისური ენა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს. მეორე ნაწილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, ხოლო მესამე ნაწილი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. პროგრამის მესამე ნაწილი მოიცავს შემდეგ ძირითად მუხლებს, კერძოდ: 1. პროგრამის მიზნების დადგენა; 2. პროგრამის ადგილის განსაზღვრა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში; 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დადგენა; 4. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა; 5. პროგრამის ძირითადი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა კრედიტების საშუალებით; 6. სწავლა სწავლების მეთოდის დადგენა; 7. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის აღწერა; 8. პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო რესურსების არსებობის დადგენა. 9. პროგრამის მდგრადობის პროგნოზირება. 10. სასწავლო კურსების პროგრამების - სილაბუსების შემუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 120 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. მათ შორის:

სასწავლო კომპონენტია 75 კრედიტი, მათ შრის არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი; საწარმო პრაქტიკა - 5 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსს - 5 კრედიტ, კოლოქვიუმი (თეორიული კვლევა) – 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტმა უნდა აირჩიოს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული შემდეგი მიმართულებიდან ერთ-ერთი: 1. საერთაშორისო მენეჯმენტი, 2 საერთაშორისო მარკეტინგი, 3. აუდიტი, 4. მცირე ბიზნესის მართვა, 5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი. 6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი.

თუმცა, პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გაგვაჩნია მოსაზრება. კერძოდ საერთაშორისო მარკეტინგის მოდული მოიცავს ძირთადად ისეთ საგნებს, რომელიც უფრო მარკეტინგის მოდულთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მაშინ როდესაც შესაძლებელია საერთაშორისო მარკეტინგის მოდულის გაძლიერება ისეთი საგნების დამატებით, როგორიცაა საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის მართვა, ექსპორტის მარკეტინგი, კულტურის ასპექტები საერთაშორისო მარკეტინგში. გლობალური განაწილება და მიწოდების ჯაჭვი.

ასევე, საერთაშორისო მენეჯმენტის ბლოკში შემავალი საგნები საინვესტიციო მენეჯმენტი და მარკეტინგის მენეჯმენტი არ მიეკუთვნება ამ ბლოკს, თავისი შინაარსიდან გამომდინარე.

გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, სავალდებულო დისციპლინების ბლოკში უნდა ისწავლებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი საგნები (მენეჯმენტი, მარკეტინგი ფინანსები). თუმცა, პროგრამის სტრუქტურის ძირითად სავალდებულო საგნების კომპონენტებში ვერ ვხდებით მარკეტინგის საგნებს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აირჩევს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის ან მცირე ბიზნესის მართვის მოდულებს, მათ არ ექნებათ ცოდნა მარკეტინგის საკითხებში, რომლის ცოდნა მნიშვნელოვანი. მარკეტინგის მენეჯმენტი, მხოლოდ ორ მოდულში (საერთაშირისო მენეჯმენტი და საერთაშირისო მარკეტინგი) ისწავლება.

პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. რომელთანაც პერიოდულად ტარდებოდა შეხვედრები პროგრამის გაუმჯობესება დახვეწასთან დაკავშირებით მოსაზრებების გაზიარების მიზნით. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების შესახებ. დაინტერესებული

მხარეების ამ სეგმენტთან საუბრისას გამოვლინდა პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში მათი სუსტი ჩართულობა. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და გამჭირველე და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის #01-05-04/01; • ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ვებ-გვერდი - http://gtu.ge/ • ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია მოხდეს საერთაშორისო მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის მოდიფიკაცია საერთაშორისო მარკეტინგთან და საერთაშორისო მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნების გაძლიერებით; • რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გათვალისწინებულ იქნას ამ საფეხურის შესაბამისი ,,მარკეტინგის“ დისციპლინის სწავლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსის შინაარსი დაფუძნებულია ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაზე, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგებზე. თუმცა, გადახედვას საჭიროებს შემდეგი საგნები: საერთაშორისო მარკეტინგი და საერთაშორისო მენეჯმენტი, რომლებიც მსგავსი შინაარსის არის. საერთაშორისო მარკეტინგსა და საერთაშორისო მენეჯმენტის სილაბუსებში წარმოდგენილია მსგავსი თემები: საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებები; საერთაშორისო ბიზნესის განვითარება; საერთაშორისო ბიზნესის გარემო; ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურები საერთაშორისო ბიზნესში; კულტურული მართვის თავისებურებები; სტრატეგიული დაგეგმვა საერთაშორისო ფირმაში; მრავალეროვნული კომპანიის სტრატეგიული დამუშავებისა და რეალიზაციის პრაქტიკა; ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილებები საერთაშორისო მენეჯმენტში; საერთაშორისო ფირმის ფინანსური მენეჯმენტი; საერთაშორისო დაფინანსება; საგარეო ვაჭრობის დაფინანსება; საერთაშორისო ინვესტიციები და ა.შ. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული. თუმცა, ვიზიტის დროს სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების უმრავლესობა არსებული წესის მიხედვით არ იყო შესრულებული. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება იმ სტანდარტებით, რომელიც მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში, მოითხოვს ისეთი დისციპლინის სწავლებას, როგორიცაა კვლევით მეთოდები ბიზნესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის #01-05-04/01; • ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ვებ-გვერდი - http://gtu.ge/
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია მოხდეს საერთაშორისო მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის მოდიფიკაცია საერთაშორისო მარკეტინგთან და საერთაშორისო მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნების გაძლიერებით;
- რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სპეციალობის ბლოკში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდების ბიზნესში"სწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერტული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ინტერვიუერების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავდა რომ პროგრამის მოდიფიკაცია მოხდა პროგრამის პრაქტიკაზე ორიენტირების კუთხით. მაგალითად, პროგრამას გააჩნია ისეთი კომპონენტი როგორიცაა „საწარმო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში“. ამას გარდა, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში იყენებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა სტუდენტებთან საუბრისას ირკვევა, რომ საჭიროებს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების გაძლიერებას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

უნივერსიტეტში ყოველ წლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.

სტუდენტები დროულად იღებენ სასწავლო პროცესის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას. ასევე ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი დროულად უწევს დახმარებას და კონსულტაციებს. გარდა იმისა, რომ სტუდენტებისათვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეები პერსონალისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (რუსულენოვანი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციების თეზისების კრებულები http://gtu.ge/Science/Conference/
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსის შეთავაზებისას პედაგოგები იყენებენ შემდეგი სწავლის მეთოდების კომბინაციას, კერძოდ დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, კონკრეტული სიტუაციებით სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრაციის მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი. სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ასწავლიან პროგრამულ უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებას. შუალედური შეფასება მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სასწავლო წერილობითი ამოცანები, ტესტები, ქეისების შესწავლა, გუნდურ პროექტებზე მუშაობა, ინდივიდუალური პროექტები, წერილობითი ან ზეპირი გამოცდები და სხვა. თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი ნათლად და გამჭვირვალედ ითვალისწინებს თითოეული კურსის სილაბუსს. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული, თუ როგორ ფასდება სხვადასხვა ელემენტებში მათი შესრულება. სტუდენტების შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესების დაცვით.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უკუკავშირი აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სასწავლო პროცესის მიდინარეობისას თავიანთი მიღწევების შესახებ. სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ ელექტრონული სისტემა ლექტორებთან დაკავშირება ძირითადად ხდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ამ საკითხის თაობაზე მომდევნო სტანდარტებში დეტალურად იქნება გაანალიზებული.
გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შდეგები;
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;

• უნივერსიტეტში არსებული სწავლების ფორმები და მეთოდები www.gtu.ge/quality/pdf
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
უსდ მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. პროგრამის ფარგლებში დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს რიგ სერვისებს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებას. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროგრამების ფარგლებში სტუდენტები საჭირო კონსულტაციებს იღებენ როგორც აკადემიური პერსონალის მხრიდან, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლებისაგან. დაწესებულება სტუდენტებს დამატებით სთავაზობს ტუტორების სერვისს, რომლებიც შესაბამისი სასწავლო ჯგუფების ფარგლებში უზრუნველყოფენ სტუდენთა კონსულტირებას სხვადასხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. კონსულტაციების გრაფიკი საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მეტწილად იღებენ კარიერული განვითარებისათვის საჭირო კონსულტაციებსა და სერვისებს. მათ არ უტარდებათ კარიერული განვითარებისათვის საჭირო ვორქშოპები/ტრენინგები ან მასტერკლასები. სუსტია სტუდენტების ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებითაც, რაც აიხსნება საკომუნიკაციო არხების არაეფექტური ფუნქციონალით (leqtori.gtu.ge). დაწესებულება სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, თუმცა ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ადგილობრივ სასწავლო-დარგობრივ კონფერენციებსა და სემინარებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი; ○ დაწესებულების ვებ-გვერდი (gtu.edu.ge); ○ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროგრამა;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კარიერული განვითარების ხელშემწყობი სერვისები და უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი

სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარების გზით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორქშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი; • დაწესებულებამ სასურველია შეიმუშავოს სტუდენტებთან კომუნიკაციის უფრო ეფექტური არხები, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრანტებს მეტწილად ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რაც თავის მხრივ აისახება შესრულებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეზე. აკადემიური პერსონალი, რომელთა დიდი წილიც წარმოადგენს ამავდროულად სამაგისტრო და სადოქტორო შრომების ხელმძღვანელ პირებს, აღიარებს ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რითიც აიხსნება სამეცნიერო ბაზების საშუალებით უახლესი სტატიებისა და კვლევების მოძიებისა და შემდგომში მათი სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენების ძალიან დაბალი მაჩვენებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებისათვის წარმოდგენილ რიგ ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის ნაწილში მითითებულია არავალიდური წყაროები/ლიტერატურა (მაგ. ვიკიპედია, ბლოგები, ყვითელი პრესა), შესაბამისად, ჩნდება კითხვები რამდენად უნივერსალურია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის და შეფასების წესის დაცვა პროგრამის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; • აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა და პირადი საქმეები; • სტუ-ის დებულება მაგისტრატურის შესახებ; • სტუ-ის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით კომპონენტის შეფასების წესი;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებისათვის ხელმძღვანელად ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის შერჩევა, რათა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტმა გამოიყენოს უნივერსიტეტში უკვე არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 80. მათგან 54 აფილირებული აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს (20 პროფესორი, 28 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი). სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 26-ს.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება მათ მიერ უახლოეს წარსულში გამოცემული სტატიებით, სახელმძღვანელოებით ან მონოგრაფიით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განვითარებისათვის საჭირო გამოცდილება და ცოდნა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალთან, რაც საერთო ჯამში, ვთვლით, რომ პროგრამის მდგრადობის გარანტიასაც წარმოადგენს. ხელმძღვანელი ჩართულია, როგორც პროგრამის შემუშავება-შეფასებასა და განხორციელებაში, ასევე პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსის და საუნივერსიტეტო ზოგადი ხარისხის კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსისათვის მთავარ გამოწვევად რჩება უცხო ენის (კონკრეტულად ინგლისური ენის) ბარიერი, რაც ხელს უშლის მათ დარგში არსებული თანამედროვე ცოდნის და უახლესი კვლევების ათვისების პროცესში. რაც შემდგომში, მათივე აზრით, აისახება პროგრამისა და დაცული სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეზეც. უცხო ენის კომპონენტის სისუსტე განაპირობებს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის დაბალ მაჩვენებელსაც, კერძოდ, დაბალია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და მობილობაში (გაცვლით პროგრამებში) მონაწილეობა.

ექსპერტთა ჯგუფს ასევე მიაჩნია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აფილირების ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს უფრო ხისტი აკადემიური პერსონალის მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებებში საათობრივ დატვირთვასთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულებამ სასურველია აკადემიური პერსონალის მიღების კონკურსის პირობებში ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად განსაზღვროს უცხო ენის ცოდნა, რათა თავიდან იქნეს არიდებული აკადემიურ პერსონალში უცხო ენის არმცოდნეთა წილის გაზრდა;
- დაწესებულებამ სასურველია აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილება და დააწესოს გარკვეული შეზღუდვები მათ მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებებში საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
უნივერსიტეტში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ატარებს, როგორც საჭიროებათა კვლევას, ისე სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული კვლევები დაწესებულებას საშუალებას აძლევს შეაფასოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამაში ჩართული პერსონალი გადის სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსებს. ძირითად თემატიკას წარმოადგენს სასწავლო პროცესთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები. უსდ ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში, ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ხარჯებიც (სტატიების გამოქვეყნებისათვის, კრებულების გამოცემისათვის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები

• დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის პირადი საქმეები; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
უნივერსიტეტი ადასტურებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ დაწესებულ მოთხოვნებს, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლებისათვის გამოყოფილია შესაბამისი რაოდენობის სასწავლო აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით (მერხები, დაფა, მარკერები, პროექტორი და .ა.შ.). დაწესებულებაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების

კამერები და გამოკრულია სართულების გეგმები, რომელზეც დატანილია საევაკუაციო გეგმაც. ყველა სართულზე არის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო და სხვა ტიპის ლიტერატურა წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, პროგრამას ემსახურება ცალკე სამკითხველო სივრცე (ცენტრალური ბიბლიოთეკა მდებარეობს გვერდზე შენობაში). სასწავლო სივრცეში მოცემულია კომპიუტერული ლაბორატორიებიც, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, მათ შორის გამოცდების ორგანიზებისათვის. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზეც. სასწავლო პროცესში გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (leqtori.gtu.ge), რომელიც საჭიროებს ფუნქციონალის შემდგომ დახვეწასა და ტექნოლოგიურ სრულყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; ○ ვიზიტის პროცესში ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაცია;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის დაფინანსება განსაზღვრულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში. ფაკულტეტის ბიუჯეტი მტკიცდება უსდ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. 2018 წლისათვის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 629,000.00 ლარს, რომელშიც გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის და პროგრამის შინაარსობრივი განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა ხარჯები. ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და ამავდროულად შეესაბამება პროგრამის ამჟამინდელ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". საბუთების შესწავლისა და ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში, რაც გულისხმობს პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების პროცესის განხორციელებას და შეფასების შედეგების გამოყენებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი. საბუთებით დასტურდება პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით შეფასების პროცესის მონაწილე მხარეების შეხვედრები და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული განხილვები. ხდება შეფასების პროცესში გამოკვეთილი შედეგების გათვალისწინება პროგრამის

განვითარების მიზნით. ჩართულობა დადასტურდა ინტერვიუების დროსაც, მონაწილეებმა დაასახელეს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები და ცვლილებები რაც მათი ინიციატივით, ერთობლივი განხილვითა და შეფასების პროცესების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საფუძველზე განხორციელდა პროგრამაში. პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის ხარისხის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ დასახელებული ნაკლოვანებების გათვალისწინებას. ასევე, გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის ოქმი • ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის სხდომის ოქმები (პროგრამებისა და მასში შესატანი ცვლილებების განხილვის შესახებ) • გამოკითხვის შედეგები • თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას. სამსახურთან შეხვედრისას გარე ხარისხის შეფასების მაგალითად დასახელდა აუდიტის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევა. სამსახურის მიერ ასევე მოხდა კვლევის ანგარიშში გამოკვეთილი ნაკლოვანებებისა და კვლევის შედეგად მიღებულ რეკომენდაციების დასახელება რისი გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაში და დასტურდება პროგრამით და სილაბუსებით. კვლევის შედეგების საფუძვლეზე მოხდა შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

ასევე, დასტურდება პროგრამის შეფასების მიზნით პროფესიულ ორგანიზაციასთან (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია), კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- აუდიტის სამსახურის კვლევის შედეგების ანგარიში
- ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის სხდომის ოქმები (პროგრამებისა და მასში შესატანი ცვლილებების განხილვის შესახებ)
- ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბუთების შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ხდება პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ. ინტერვიუების დროს გამოკითხულთა მიერ დასტურდება შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნით. გამოკითხულთა მიერ ერთხმად დასახელდა მათი რჩევის საფუძველზე პროგრამის პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება (პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის დამატება ასევე, სასწავლო კურსების პრაქტიკული ნაწილის გამდიდრება პროექტებითა და საკურსო სამუშაოებით). პროგრამის განვითარებაში ჩართული გუნდის მიერ ასევე დასახელდა პროგრამაში მათი რჩევის საფუძველზე შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: „ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება“, „ვებ ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში“, „ლოჯისტიკის სისტემები მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში“, „კომუნიკაციების სტრატეგიები“, „პროფესიული ტექსტის რეფერირება“.

თუმცა აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულებმა მათთან ინტერვიუს დროს არ დაადასტურეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან პროგრამის შეფასების მიზნით დაკავშირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის რეგულარული შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის სხდომის ოქმები (პროგრამებისა და მასში შესატანი ცვლილებების განხილვის შესახებ)
- ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პერიოდულად მოხდეს პროგრამის შედარება სხვა ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; • სასურველია მოხდეს კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციის და სისტემური მიდგომების დანერგვა რათა მოხდეს პროგრამის შეფასების მიზნით მათთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სოფიო ხუნდაძე

დავით ცირამუა